შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯის“ ანგარიში 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

ანგარიში მომზადებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

შპს „მარნეულის სამედიცინო კოლეჯი“ თანამედროვე ქართული პროფესიული საგანმანათლებლო სივრცის სრულიად ახალი, დემოკრატიული იდეალების, ადამიანური უფლებების, თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის მხარდამჭერი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია უზრუნველყოს საზოგადოება მაღალ კვალიფიციური პროფესიული განათლებით და ფართო მსოფლმხედველობით, რაც ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია.
კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული გეგმის (2019-2025 წ.წ.) შესასრულებლად კოლეჯმა ჩამოაყალიბა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.
სამოქმედო გეგმაში აღწერილია კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2023 წელს გასატარებელი ღონისძიებები.

ანგარიშში განხილულია ღონისძიებები, რომლის შესრულების ვალდებულებაც კოლეჯს დაეკისრა 2023 წელს.

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების N 1 მიზნის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება) შესასრულებლად სამოქმედო გეგმის მიხედვით გასატარებელი იყო შემდეგი ღონისძიებები:

ა) საგანმანათლებლო პროცესის განვითარება;
ბ) სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა (სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიური ჩართვა, საგანმანათლებლო რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა);

მიმდინარე სასწავლო წელს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სისტემატიური დაკვირვებით. პროფესიული მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა აქტიური მუშაობის შედეგად

სტუდენტები აქტიურად ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში. პროფესიული მასწავლებლები ცდილობდნენ საგანმანათლებლო რესურსებისა და ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას, გადიოდნენ კონსულტაციებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გაიმართა შეხვედრები შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები კოლეგიალურად უზიარებდნენ ერთმანეთს აზრს სასწავლო პროცესში მიღებული გამოცდილების შესახებ. დაიწყო საგანმანათლებლო პროცესების განვითარების პროცესი და დაწყებულია სწავლების თანამედროვე პროცესების დანერგვა.
კოლეჯის აქტიური მუშაობის შედეგად რეგიონში ნელ-ნელა იზრდება შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მიმართ ინტერესი და ცნობადობა.

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების N 2 მიზნის (სტუდენტური სერვისების/ საქმიანი ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება) შესასრულებლად სამოქმედო გეგმის მიხედვით გასატარებელი იყო შემდეგი ღონისძიებები:

ა) პროფესიული სტუდენტების მაქსიმალური მხარდაჭერა და საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება;
ბ) პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კულტურული და შემეცნებითი ხასიათის, პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ღონისძიებათა ორგანიზება;

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამართა შეხვედრები ფოკუს-ჯგუფებთან და ჩაატარა მინიმალური კვლევა მათ მოლოდინებთან და კმაყოფილების შესახებ. შეხვედრებმა აჩვენა, რომ სტუდენტების მოლოდინი მართლდება და მტკიცდება საზოგადოების ნდობა კოლეჯიისადმი.
საბიბლიოთეკო ფონდი შევსილია ელექტრონული საგანმანათლებლო მასალით.

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების N 3 მიზნის (მართვის პროცესებისა და პერსონალის კარიერული განვითარების მუდმივი გაუმჯობესება) შესასრულებლად სამოქმედო გეგმის მიხედვით გასატარებელი იყო შემდეგი ღონისძიებები:
ა) პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
ბ) ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა;
გ) კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება.

საანგარიშო წლის განმავლობაში კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლები და პროფესიული მასწავლებლები დაესწრნენ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ სხვადასხვა შეხვედრებსა და ტრენინგებს. შეცვედრებისა და ტრენინგების მერე მიმდინარეობდა მსჯელობა, თუ როგორ უნდა დაგვენერგა კოლეჯში მმართვის პროცესების მაღალი სტანდარტები. რა საჭიროების წინაშე იდგნენ და რა უნარების განვითარება იყოს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამშრომლებისა თუ პროფესიული მასწავლებელთათვის. შეხვედრებსა და ტრენინგებზე დასწრებამ მოგვცა საშუალება გაგვეცნო და გავცნობოდით სხვადასხვა პროფესიულ კოლეჯებს. შესაბამისად დაწყებულია ინტეგრირება პროფესიულ საგანმანათლებლო

სისტემაში. მნიშვნელოვანია, გავიზიაროთ კოლეჯების გამოცდილება და გავაუმჯობესოთ და დავნერგოთ მართვის სისტემის მაღალი სტანდარტები.

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების N 4 მიზნის (ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება) შესასრულებლად სამოქმედო გეგმის მიხედვით გასატარებელი იყო შემდეგი ღონისძიებები:
ა) საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება;
ბ) პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო, საბიბლიოთეკო და მატერიალური რესურსების განვითარებადი ღონისძიებების მხარდაჭერა.

ამოცანები, რომელიც უნდა განეხორციელების კოლეჯს 2023 წელს:

- ახალი პროფესიული პროგრამების დამატება;
- შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვა;
- პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები;
- პროფესიული სტუდენტებისათვის პროფორიენტაციის, კარიერული განვითარების ღონისძიებათა ორგანიზება;
- პროფესიული მასწავლებლების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა;
- ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული ტრენინგების მხარდაჭერა;
- კოლეჯის მართვის პროცესების გაუმჯობესება;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.

კოლეჯის ადგილმდებარეობამ, ქვემო ქართლის საჭიროებებმა და რეგიონის მზარდმა მოსახლეობამ განსაზღვრა აკადემიის ზრდა და საქმიანობის სფერო - პროფესიული სწავლებას ჯანდაცვის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში დაიმატა სამი პროფესიული პროგრამა:

- აღმზრდელი - მეხუთე დონე, კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0112, ადგილების ზღვრული რაოდენობა 80 (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 4 23 0000458584)
- საფინანსო სერვისები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვსებში სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0412, ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 5 23 0000458585)

- ინფორმაციის ტექნოლოგიები - მესამე დონე, კვალიფიკაცია - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში, სწავლების დეტალური სფეროს კოდი - 0612 , ადგილების ზღვრული რაოდენობა 40, (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 26/04/2023 MES 0 23 0000458580)

ამასთან იმავე წელს, აპლიკანტების გაზრდილი რიცხოვნობის გამო,

ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 9 23 0001302409 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „აღმზრდელი“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (MES 8 23 0001302408 04/10/2023) შპს გეოგლობალ აკადემიას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ გაეზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 160-ით.

2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1144387 ლარით, რომელიც მთლიანად იქნა ათვისებული კოლეჯის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის.

საანგარიშო წელს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდამ და სამი პროფესიული პროგრამის დამატებამ, საგრძნობლად გაზარდა კოლეჯის ბიუჯეტი. ამასთან კოლეჯმა აიღო სესხი 511974 ლარის ოდენობით. კვლავ იზრდება კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სარემონტო სამუშაოებისათვის გამოიყო 571807 ლარი. გაზრდილია მთლიანი სახელფასო ფონდი - 254398 ლარი, ადმინისტრაციის სახელფასო ფონდი შეადგინა 99215 ლარი, პროფესიულ მასწავლებელთა სახელფასო ფონდი განისაზღვრა 155183 ლარით. პროფესიულ განვითარებაზე დახარჯულია 2893 ლარი (სატრენინგო მასალა). ტრენინგები ჩაატარა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და შეხვედრებში, ასევე კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და შეხვედრებში.
პროფესიული პროგრამების აღჭურვილობისათვის და სასწავლო მასალისათვის კოლეჯის ბიუჯეტში 20609 ლარი იყო გამოყოფილი, რაც კოლეჯის მიერ სრულად იქნა ათვისებული. დამატებული პროგრამების ავტორიზაციაში და ზღვრული რაოდენობების ზრდაში კოლეჯმა გადაიხადა 23469.
კოლეჯმა იზრუნა თანამშრომელთა წახალისებაზე, წლიურმა საპრემიო ფონდი შეადგენდა 22100 ლარს.
სტუდენტურ აქტივობებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 3833 ლარი.
საკომუნიკაციო მომსახურებაში (ინტერნეტი, eflow, საიტი, HR,ZOOM) ბიუჯეტიდან დაიხარჯა 3999 ლარი.

შეძენილი იქნა ახალი ძირითადი საოფისე ინვენტარი, რასიც კოლეჯმა გადაიხადა 29655 ლარი.
პროფესიული განათლების პოპულარიზაციას და სარეკლამო საქმიანობაზე გამოიყო 4537 ლარი.
დაახლოებით 210000 ლარი კოლეჯმა დახარჯა სხვადასხვა მომსახურებისთვის (ჰიგიენური საშუალები, კომუნალური გადასახადები, საკანცელარიო მასალები, იურიდიული და ბუღალტრული აუდიტი, იჯარის გადასახადი, დაცვა, ბანკის მომსახურება, სესხი, სამეურნეო, საოფისე, კომპ. რეესტრი, დაზღვევა,პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები).

პრაქტიკულად კოლეჯმა ბიუჯეტი სრულად აითვისა და 2032 წლის დასახული მიზნები სრულად შეასრულა.

2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი

1	ნაშთი წლის დასაწყისში	3
2	შემოსავლები	640413
3	შემოსავალი-სესხი	511974
4	მთლიანი სახელფასო ფონდი	254398
5	სახელფასო ფონდი (ადმინისტრაცია)	99215
6	სახელფასო ფონდი (მასწავლებლები)	155183
7	საშემოსავლო ხარჯი	64977
8	საპენსიო ხარჯი	9944
9	პროფესიული განვითარება	2893
10	პროგრამების დამატება (ავტორიზაცია)	23469
11	პროფ.პროგ. აღჭურვილობა და სასწავლო მასალა	20609
12	წახალისება/პრემია	22100
13	ჰიგიენური საშუალები	1020
14	კომუნალური	9150
15	საკანცელარიო მასალები	7269
16	აუდიტი(იურიდიული, ბუღალტრული)	10610
17	იჯარა	30200
18	დაცვა	19270
19	საკომუნიკაციო მომს. (ინტერნეტი, eflow, საიტი, HR,ZOOM)	3999

20	სტუდენტური აქტივობები	3833
21	რეკლამა(ფლაერები, ბრენ.პროდუქცია,ბუკლეტები)	4537
22	ძირითადი საშ.-საოფისე ინვენტარი	29655
23	საწვავი, ტრანსპორტი	900
24	ბანკის მომსახურება	621
25	სესხი(ძირი+პროცენტი+გაცემა)	48698
26	სარემონტო სამუშაოები	571807
27	სხვა(სამეურნეო, საოფისე, კომპ.რეესტრი, დაზღვევა,პერს. მონაც.დაცვა და სხვა)	3828
28	საწევრო-სკკა	600
29	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი	1144387